



# საქართველო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 56  
10/08/2018

56-06-4-201808101713



## განკარგულება №56 10 აგვისტო 2018 წელი

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის, 29-ე მუხლის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ნოემბრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 34-ე მუხლის თანახმად:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

**დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ეროდი გორდელაძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

#### წევრები:

**გელა ჩავლეშვილი** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე;

**შოთა გოგიბერიძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარე;

**ლევან მგელაძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე;

**ლელა საჯაია** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

**ლავრენტი ბიგვავა** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ;

**შალვა თავდიშვილი** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;

**ვასილ ჩიგოგიძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი;

**ხათუნა ცერცვაძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება მწვანეების“-ს თავმჯდომარე;

**ალექსანდრე ღლონტი** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე;

**მარიკა ჩხიკვიშვილი** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე;

**ბახვა დოლიძე** - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება მრეწველების“-ს თავმჯდომარე.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით აუცილებლობიდან გამომდინარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება სხვა პირთა მოწვევაც.

3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვით მიმდინარე წლის 10 აგვისტოდან 2018 წლის 10 ნოემბრამდე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო